ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 8

ქ. ახმეტა 25 ივნისი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, თ.მგელიაშვილი, ა. ხიზანაიძე, გ. ხუცურაული, ა. ბუღრიძე, ა. მექვევრიშვილი, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, დ. იმერლიშვილი, გ. ხადიშვილი, თ. ბორჩაშვილი, ვ. სუხოშვილი, თ. მოზაიძე, ფ. შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

სხდომა გაიხსნა 11 ᵒᵒ საათზე.

დღის წესრიგი

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს**

ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება:

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო - (2) შ. ტერტერაშვილმა, ვ. დედაბრიშვილმა.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

გაცნობებთ, რომ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ მოგვმართა თხოვნით: N18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის სამუშაო ფართის მოწყობა, რისთვისაც დამატებით გვესაჭიროება თქვენს სარგებლობაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (58.5 კვ.მ.), რომელიც მდებარეობს N18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უვადოდ, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადმოგვცეთ თქვენს სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი.

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემა. (ს/კ 50.04.42.598)
საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ვინაიდან საქართველოს კანონის სამოქალაქო კოდექსის 233 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთის (აღნაგობის უფლება) სარგებლობის ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამეტ წელს, ამიტომ მართებულად მიიჩნიეს განკარგულების პროექტიდან ამოღებული იქნას სიტყვა „უვადოდ“ და აღნიშნული კანონის გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს სარგებლობის ვადა.

სხდომა დატოვა ვ. დედაბრიშვილმა და შ. ტერტერაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის შესწორებული სახით მიღება.

სხდომას ესწრება 17 წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 1 (ფ. შიომღვდლიშვილმა)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 18: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11:30 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**